

შპს „ეს ჯი გაზკომპანი“ ს/კ 236689954

ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება:	83.
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში ფორმა N1	3
საქმიანობის შედეგები ფორმა N 2	4-5
ფულადი სახსრების მოძრაობა ფორმა N 3.....	5
სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....	7
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	7
4. ძირითადი საშუალებები.....	8
5. მარაგები-.....	9
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9
8. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები	9
ფინანსური რისკების მართვა	
9. კაპიტალის მართვა	10
10. მიღებული გრანტი.....	10
11. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/ზარალი	10
12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები-----	10
13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	11

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

31/12/2019 31/12/2018 01/01/2018

აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები	19768	36433	109838
სავაჭრო მოთხოვნები	2016184	1678723	1081074
გადახდილი ავანსები	42076	54253	46758
მარაგები	338383	291572	340434
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	338383	291572	340434
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	7074847	7093778	7451009
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	340878	338520
სულ აქტივები	9491258	9495637	9367633

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	1391907	1154818	1088061
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	233746	206981	247618
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	2462041	2730274	2628390
სულ ვალდებულებები	4087694	4092073	3964069

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	5000000	5000000	5000000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	403564	403564	403564
გადაფასების რეზერვი	0	0	0
სხვა რეზერვები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	5403564	5403564	5403564
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9491258	9495637	9367633

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	2019	2018
ნეტო ამონაგები	12964534	10553495
საქონლის გაყიდვიდან	12542851	9997979
მომსახურების გაწევიდან	408679	537835
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	13004	17681
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-8565790	-7026409
საწყისი მარაგები	291572	340434
მარაგების შესყიდვა	9326246	6977547
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	4398744	3527086
სხვა შემოსავალი	0	4263
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1070544	-1014065
ცვეთა და ამორტიზაცია	-612136	-647189
საპროცენტო შემოსავალი:	0	0
საპროცენტო ხარჯი :	0	0
იჯარის ხარჯი	-123195	-119428
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-141046	-105426
სულ საოპერაციო ხარჯები	-1946921	-1881845
საოპერაციო მოგება	2451823	1645241

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:

ფინანსური აქტივები	0	0
მარაგები	0	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	0	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი	2451823	1645241
ოპერაციებიდან	0	0
მოგების გადასახადი	0	0
მოგება/(ზარალი)	2451823	1645241

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რევერსი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რევერსი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	2451823	1645241
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	5403564	5403564
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-2451823	-1645241
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5403564	5403564


ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-16665	-73405
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-16665	-73405
სავალუტო კურსის ეფექტი	0	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	36433	109838
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	19768	36433

შპს „ეს ჯი გაზ კომპანი“-ის გენერალური
დირექტორი არამ სანოსიან


2020 წლის 30 მარტი

მთ. ბუღალტერი გრიშა ვოსკანიან



სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1, ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეს ჯი გაზკომპანი“-ი, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, 2008 წლის 07 მაისს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაფუძნებულ იქნა ახალციხის საგადასახადო ინსპექციის მიერ, მისი იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.ნინოწმინდა, თავისუფლების ქ.#57 ხოლო ფაქტობრივი მისამართია ქ.ახალქალაქი თავისუფლების ქ.#100. ამავე თარიღიდან ახალციხის საგადასახადო ინსპექციის მიერ აყვანილი იქნა გადასახადის გადამხდელად და მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი: 236689954.შპს. „ეს ჯი გაზკომპანი“ ფლობს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 10.12.2008წ გაცემულ ბუნებრივი გაზის განაწილების #107 ლიცენზიას

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებლებს წარმოადგეს 2 ფიზიკური პირი და 2 იურიდიული პირი .

პარტნიორების წილობრივი მდგომარეობა შემდეგნაირია:

- არამ სანოსიან (ს/ნ 32001001162) - წილი 20%;
- ანდრანიკ მკოიან (ს/ნ 72 3855994) - წილი 20%
- შპს „სატახა“ (ს/ნ 236689696) - წილი 40%
- შპს „მეეკი“ (ს/ნ 236684469) - წილი 20 %

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგეს 5000000 (ხუთმილიონ) ლარს;

ანგარიშგების მომზადების დროს, საზოგადოების ფაქტიურ მისამართს წარმოადგენს: საქართველო, ქ. ახალქალაქი თავისუფლების ქ.100. ხოლო გენერალური დირექტორია არამ სანოსიან

შპს „ეს ჯი გაზკომპანი“-ი, წესდებით ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი გაზის განაწილება და მიწოდება ქქ ახალქალაქი ნინოწმინდის მოსახლეობა და იურიდიული პირები სულ 17560 აბონენტი.

შპს-ს ბუნებრივი გაზის ძირითადი მომწოდებელია სს „სოკარ გაზ დისტრიბუშენი“

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

01.01.2019 წლისათვის საზოგადოებაში მუშაობდა 125 თანამშრომელი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, 31.12.2019 წლისათვის კი 127 თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 2019 წლის რედაქციის მიხედვით. საზოგადოებამ მსს ფასს პირველად გამოიყენა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად, გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება - „მსს ფასს-ზე გადასვლა“.

სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში გამოყენებულ იქნა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული შესადარისი ფინანსური ანგარიშგებისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას (მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღი).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს საზოგადოების მეორე ანგარიშგებას. მსს

ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს საზოგადოებას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, იქიდან გამომდინარე, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონდა არსებითი გავლენა საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ მომხდარა აღნიშნულთან დაკავშირებით რეკონსილაცია.

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია თვითღირებულების საფუძველზე. საზოგადოება არ ფლობს ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საზოგადოება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

3, არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი/(სამუშაო) ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება საზოგადოების ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებულ შეუზღუდავ ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საზოგადოების მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღებ ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის დროს ყველა რისკი და სარგებელი გადადის მყიდველზე მიუხედავად თანხის ჩამორიცხვისა, აგრეთვე, მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებსაც საზოგადოება ეწევა ნასესხები სახსრების მიღებასთან დაკავშირებით. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებს მიეკუთვნება ასევე უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობების ის ნაწილი, რომელიც მიიჩნევა საპროცენტო დანახარჯების კორექტირებად.

საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირი დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვე- ულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია, თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საზოგადოება ყველა ძირითადი საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

შპს „ეს ჯი გაზკომპანი“-ის ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და თუ მოსალოდნელია მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება როგორც სადარიცხვო შეფასების ცვლილება, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საზოგადოებისათვის.

მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე, ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. შემოსულობა არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც ამონაგები.

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა გაიანგარიშება წრფივი მეთოდით, თითოეული დასახელების მიხედვით;

აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია თვითღირებულებას დაგროვილი ცვეთის თანხის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების სახეების მიხედვით სააღრიცხვო პოლიტიკით დადგენილი ცვეთის ნორმა მოცემულია ქვემოთ.

ანგ. 2130	შენობები და ნაგებობები	5%
ანგ. 2150	მანქანა - დანადგარები	20%
ანგ.2160	ოფისის აღჭურვილობა	20%
ანგ. 2170	ავეჯი და ინვენტარი	20%
ანგ. 2180	სატრანსპორტო საშუალებები	20%

5. მარაგები

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შპს „ეს ჯი გაზკომპანი“-ი, პროდუქციის გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზოგადოება ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

7. სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

8. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს შპს „ეს ჯი გაზკომპანი“-ის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

9. კაპიტალის მართვა

საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის, გაუნაწილებელი მოგების და ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვისაგან.

წმინდა მოგების განაწილება ხდება ფინანსური ანგარიშგების შპს-ს პარტნიორების საერთო კრებაზე განხილვის დროს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შპს ალპენ მილკის საწესდებო კაპიტალი უცვლელია და შეადგენს 5000000 ლარს.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის N1068 განკარგულებით შპს „ეს ჯი გაზკომპანი“-ის თანამშრომლები სარგებლობენ საშემოსავლო გადასახადში მაღალმთიანობის შესახებ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შეღავათით.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

დივიდენდი

საზოგადოების შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში.

10. მიღებული გრანტი

საანგარიშგებო პერიოდში, კერძოდ 2019 წელს გრანტი არ მიუღია.

11. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/ზარალი

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

პანდემიის გავლენა:

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID 19). 2020 წელს ვირუსი გავრცელდა მსოფლიოს მასშტაბით და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პანდემიად გამოაცხადა. აღნიშნული ვირუსის ფართოდ გავრცელებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ბიზნეს სექტორზე, თუმცა კომპანიის საქმიანობაზე და მით უმეტეს მისი ფუნქციონირებადობის უნარზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია პარტნიორთა კრების მიერ 2020 წლის 30 მარტს.